ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 75242062**
თარიღი:**24/07/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შეასხებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ქ. ტყიბულში, ტყვარჩელის ქუჩა N57-ში განთავსებული (ძველი საავადმყოფო) 13310 $მ^2$ მიწის ნაკვეთი(ს/კ 39.01.30.018) და მასზე განთავსებული 5574 კვ.მ და 168 კვ.მ შენობა-ნაგებობების საწყისი საპრივატიზებო საფასური 700000 (შვიდასი ათასი) ლარი შემცირდეს 50%-ით და განისაზღვროს 350000 (სამასორმოცთაათი ათასი)ლარით;

ბ) ქ.ტყიბულში გამსახურდიას ქუჩა N38 (ყოფილი პოლიციის შენობა) (ს/კ 39.01.27.032) 2715 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 2692.82 კვ.მ შენობა-ნაგებობის საწყისი საპრივატიზებო საფასური 600000 (ექვსასი ათასი) ლარი შემცირდეს 50%-ით და განისაზღვროს 300000 (სამასი ათასი) ლარით;

მუხლი 2.

დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს, განახორციელოს ფასების ცვლილება ამ განკარგულების პირველი მუხლის შესაბამისად.

მუხლი 3.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (ი. ლომთაძე).

მუხლი 4.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 5.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი